თბილისის თავისუფალი აკადემია

სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. თბილისის თავისუფალ აკადემიაში (შემდგომში - „აკადემია“) მოქმედი სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს;

1.2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, აკადემიაში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს აკადემიის სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის ზრდას, მეცნიერების პოპულარიზაციას, უცხოურ უნივერსიტეტებთან, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის დამყარებასა და არსებული კავშირების განვითარებას.

2.2. ცენტრის ამოცანები:

ა. ინსტიტუციის კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტულობის პერიოდული განსაზღვრა;

ბ. კვლევითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა;

გ. შემოქმედებითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა;

დ. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გაღრმავება და მხარდაჭერა;

ე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;

ვ. საერთაშორისო პროექტებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის ზრდა;

ზ. აკადემიის მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;

თ. ეკონომიკურ აგენტებთან კავშირების დამყარება და ურთიერთობების გაღრმავება;

2.3. ცენტრის ფუნქციები:

ა. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის, პროექტების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა;

ბ. სამეცნიერო - კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან - ეკონომიკურ აგენტებთან;

გ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა, მხარეების ჩართულობა და ნაშრომების გამოქვეყნება აკადემიის რეფერირებად ჟურნალში „აკადემლაბი“;

დ. კოორდინირებული თანამშრომლობა აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებთან, სკოლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი.

3.2. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა. ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ. წარმოადგენს ცენტრს ინსტიტუციის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

გ. ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის და კვლევითი პროექტების ეფექტურ განხორციელებას;

დ. ხელს უწყობს აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისობას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობასთან;

ე. სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თავისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს;

ვ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა, მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, სარედაქციო კოლეგიის ჩამოყალიბება, აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნება აკადემიის რეფერირებად ჟურნალში „აკადემლაბი“;

ზ. სტუდენტთა შერჩევა სამეცნიერო კვლევებში ჩართვის მიზნით;

თ. სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარების ხელშეწყობა - სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია - სემინარების ჩატარების მიზნით;

ი. მონაწილეობს აკადემიის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიაში მოქმედი რეგულაციების და სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

4.2. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს აკადემიის სენატი;

4.3. დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.